პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 138 (3115)
19
1966 წ. ივლისი, სამშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ-სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალის საგზურისთვის

25 ივლისს მინსკში დაიწყება სტუდენტთა V საკავშირო სპორტული თამაშების ფინალური შეხვედრები. გუშინწინ კი ჩვენი ქვეყნის 4 სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, კიევი, ლენინგრადი, ყაზანი) სტარტი აიღეს კალათბურთელთა ზონალური ტურნირის მონაწილეებმა.

თბილისის ჯგუფში ფინალში გასვლისთვის იბრძვიან საქართველოს, ესტონეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის ვაჟთა და საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინისა და უზბეკეთის ქალთა გუნდები.

ტურნირი ქალთა კოლექტივების მატჩით დაიწყო. აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის კალათბურთელები შეხვდნენ უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეხვედრის მხოლოდ პირველი ნახევარი, რომელიც აზერბაიჯანელებმა 2-ქულიანი უპირატესობით მოიგეს — 20:18. შესვენების შემდეგ კი მათი უპირატესობა უკვე აშკარა იყო და შეხვედრაც მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 53:38.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო (ისინი შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობენ) და ყაზანის პოლიტექნიკური ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრაში თავიდანვე დაწინაურდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: მე-14 წუთზე მათ ანგარიში მიყავდათ — 30:19, ხოლო მე-11 წუთზე — 32:23. მაგრამ ტაიმის დასასრულს მასპინძლებმა დაკარგეს უპირატესობა და ყაზანელმა სპორტსმენებმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს — 33:34.

დაძაბულად წარიმართა შეხვედრის II ნახევარი. საბოლოოდ გამარჯვება მაინც მასპინძლებს დარჩათ — 73:69. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ზ. ხიდაშელმა თავის გუნდს 23 ქულა მისცა.

უკრაინის საამშენებლო ინსტიტუტის ქალთა გუნდმა დაამარცხა სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი — 72:19 (47:9). ესტონეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა კი დამაჯერებლად მოუგო უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს — 69:42.

ლ. თუშიშვილი.

რკინიგზელთა ფორუმზე

ხერსონში 4 დღეს გრძელდებოდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზელ სპორტსმენთა წარმატება, რომლებმაც ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში პირველად დაიკავეს V ადგილი.

კიშინიოვში კი გაიმართა მოსწავლე რკინიგზელთა საკავშირო პირველობა ფრენბურთში. აქ წარმატებას მიაღწიეს ამიერკავკასიის ნორჩმა ფრენბურთელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს მოსკოვის, ყაზანის, იმიერბაიკალეთისა და შუაკაზის გუნდები და მეოთხედ მოიპოვეს I ადგილი.

ნ. კოსტავა.

სუკანაკნელი საათ...

◆ **კატოვიცე**, 18 ივლისი. აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინა მსოფლიოს რეკორდსმენმა ი. კირშენშტეინმა. მან 100 მეტრზე რბენაში უკან ჩამოიტოვა ყველა მეტოქე და აჩვენა 11,4 . პოლონელი სპორტსმენი ქალი პირველი იყო ავრეთვე სიგრძეზე ხტომაში — 6,26 მ.

◆ **ბერკლი**, 18 ივლისი. კალიფორნიის ამ პატარა ქალაქში ჩატარებულ ამერიკელ მძლეოსანთა ასპარეზობაზე 19 წლის ჯ. რაიანმა 1 მილი გაირბინა 3.51,3-ში, რბენის მსვლელობისას რაიანმა 1500 მეტრის დაფარვას მოანდომა 3.36,1, რაც მეორე შედეგია მძლეოსნობის ამ სახეობის ისტორიაში. ა. უოკერმა სამხტომში დაძლია 16,65 მ (საუკეთესო შედეგი ამ სეზონში). ო. ბარელმა სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 216 სმ.

◆ ბ ო ლ ო ნ ი ა, 18 ივლისი. 4 საბჭოთა წყალში მხტომელი განოდიოდა იტალიის ამ ქალაქის აუზში მოწყობილ ტრადიციულ შეჯიბრებაში და ყველამ დაისაკუთრა საპრიზო ადგილი. ნ. კუზნეცოვა (მოსკოვი) უძლიერესი იყო კოშკიდან ხტომაში. ტრამპლინიდან ხტომაში ტოლი არ ჰყავდა ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს იტალიელ კ. დიბიასის. მეორე იყო მოსკოველი მ. საფონოვი. კოშკიდან ხტომაში კვლავ შეუდარებელი ერევნელმა ვ. კუზშინკინმა, IV — მ. საფონოვმა (მოსკოვი). ტრამპლინიდან ქალთა ხტომა მოიგო დ. რეინჰარდმა (გდრ). იყო დიბიასი. III ადგილი დაიკავა მომდევნო ადგილებზე არიან ვ. ბაკლანოვა (მოსკოვი) და ნ. კუზნეცოვა.

სპრინგო ადჯილგე

ლენინგრადი, 18 ივლისი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). კვირას აქ დამთავრდა მოზარდ ხელბურთელთა საკავშირო ასპარეზობა. ჭაბუკებში უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს მოსკოველებმა (9 ქულა). 7-7 ქულა დააგროვეს საქართველოსა და ბელორუსიის ნაკრებმა გუნდებმა. ქართველმა ხელბურთელებმა ერთადერთი დამარცხება სწორედ ბელორუსებთან იწვნიეს (18:23) და III ადგილს დასჯერდნენ. ჩვენი რესპუბლიკისა და მოსკოვის ნაკრებთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 12:12. აღსანიშნავია, რომ სამხრეთელებმა ვერ გამოიყენეს ოთხი 7-მეტრიანი საჯარიმო. ქართველმა სპორტსმენებმა მოუგეს უკრაინელებს — 19:15 და ლენინგრადელებს — 35:28. ჭაბუკთა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია თბილისელი გ. ბერიაშვილი. მან მეტოქეთა კარში 32 გოლი გაიტანა.

გოგონათა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა უკრაინის ნაკრებმა, II ადგილზე გავიდნენ ლენინგრადელები, III — ლიტველები.

ა. ბელერი,
სპორტის ოსტატი.

ახალი რეკორდი... ვილნიუსში



დიდი ხანი როდია მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე). სკოლაში ტარდება მეცადინეობა 9 სახეობაში, — მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში, თანამედროვე ხუთჭიდში, საგზატკეცილო ველოსიპედოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობაში, ძალოსნობაში და კრივში.

დაარსების პირველი დღიდანვე ცხადი გახდა სკოლის დიდი მნიშვნელობა. მოკრძალებული და ორგანიზებულია მწვრთნელთა მუშაობა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო. სკოლის ხუთმა წარმომადგენელმა მოიპოვა საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში უძლიერესის სახელი, ბევრმა გააუმჯობესა რესპუბლიკური და პირადი მიღწევები.

ს ურ ა თ ზ ე: უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის წევრი დინამოელი გ. გუდაშვილი, რომელმაც გასულ კვირას ვილნიუსში გამართულ შეჯიბრებაში ბადრო ტყორცნა 56,77 მეტრზე, ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია.

ფოტო და ტექსტი ი. იუნაევისა.

VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ივლისი

დღეს!

III. დასკვნითი ტურის მატჩები ჯგუფებში

ლონდონი: მექსიკა—ურუგვაი
ლივერპული: პორტუგალია—ბრაზილია
შეფილდი: არგენტინა—შვეიცარია
მიდლსბრო: იტალია—კსდრ

ახალი საცურაო აუზი

დღემდე წლის ყოველ დროს მდინარე ანგარაში ბანაობა მხოლოდ ეგრეთწოდებულ „ლომვეშაპებს“ — ზამთარში ცურვის მოყვარულებს შეეძლოთ. გარდა 5-6 კვირისა, ანგარის წყალი ზაფხულშიც ისე ცივია, რომ მის ტალღებში ბევრი როდი შებედავს.

ახლა ციმბირის ახალგაზრდა ქალაქის — ანგარსკის მცხოვრებლები უკვე აქვთ დახურული საცურაო აუზი „ანგარა“ და შეუძლიათ სისტემატურად იმეცადინონ ცურვაში.

„ანგარას“ აქვს ექვსი ოცდახუთმეტრიანი საცურაო ბილიკი, ტრამპლინები ხტომისთვის. აქ გარდა მოზრდილთა სპორტული ჯგუფებისა, მუშაობს ბავშვთა ცურვის სკოლაც, რომელშიც 450 ნორჩი მოცურავე მეცადინეობს, შექმნილია ცურვის მოყვარულთა გამაჯანსაღებელი ჯგუფებიც.

ს ურ ა თ ზ ე: ახალი საცურაო აუზი „ანგარა“. მარჯვნივ: — საწვრთნელი მეცადინეობის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. ბელოკოლოდოვისა.





რას ვნახავთ ტელეეკრანებზე

19 ივლისი. 22.20 პორტუგალია — ბრაზილია.
20 ივლისი. 12.15. მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში.
22.20. სსრ კავშირი — ჩილი.
21 ივლისი. 12.15. მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში.
24.00. უნგრეთი — ბულგარეთი (20 ივლისის მატჩის გამეორება).
23 ივლისი. 17.50. მეოთხედფინალური მატჩი.
21.30. მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში.
24 ივლისი. 11.00. მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში.
დრო თბილისისაა.

ოთხი წმინდა გამარჯვება

დამთავრდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მსუბუქი წონის ათლეტმა დ. ხუბულურმა: მან 4 შეხვედრა წმინდად მოიგო და თავის წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ო. ქემეშაშვილი, ბ. ტიგიევი, გ. ყვარელაშვილი, დ. ხუბულური, ო. გაზაევი, შ. ბაბაშვილი, რ. მოსეშვილი, ჯ. გოცირიძე.







ფეხბურთი ფეხბურთი

„ა“ კლასი II ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შალგირისი“ (ვილნიუსი)	16	10	3	3	29—14	23
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	17	8	6	3	25—15	22
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	17	7	7	3	21—9	21
„დინამო“ (კიროვაბადი)	17	6	8	3	17—10	20
„დაუგავა“ (რიგა)	17	7	5	5	25—16	19
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	17	5	8	4	21—19	18
„რუბინი“ (ყაზანი)	16	7	4	5	15—13	18
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	17	7	4	6	20—20	18
„თერგი“ (გროზნო)	17	5	8	4	12—16	18
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	17	5	7	5	10—14	17
„დინამო“ (სტავროპოლი)	16	5	5	6	9—12	15
„როსტსელმაში“ (როსტოვი)	17	4	7	6	16—21	15
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	17	5	5	7	11—16	15
„სპარტაკი“ (გომელი)	17	4	6	7	9—18	14
„დინამო“ (ბათუმი)	17	5	3	9	17—25	13
„დინამო“ (ტალინი)	17	8	5	9	1[illegible]—19	11
„შირაკი“ (ლენინაკანი)	17	1	7	9	11—25	9

მოზარდთა ტურნირი

კოპენჰაგენი (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივებთან არსებული მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ტურნირი. თბილისის „ლოკომოტივი“ პირველ ტურში შეხვდა მაგნიტოგორსკის „მეტალურგს“, მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

თ. ქოგულაძე.

საერთაშორისო მატჩი ოჩამჩირეში

ოჩამჩირის „შრ. რეზერვების“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ვიეტნამის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდსა და ოჩამჩირის „დინამოს“ შორის. საპატიო სტუმრებს ყვავილები მიართვეს ოჩამჩირელმა მოსწავლეებმა, ხოლო ბურთი თამაშში შეიყვანა საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ქანთარიამ.

მატჩი, რომელიც მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა ვიეტნამელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

რ. ჟიშმარია.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დანიშნული იყო მატჩი სსრ კავშირის თასზე. ფეხბურთში თბილისის „ლოკომოტივსა“ და ქ. ფრუნზეს „ალგას“ შორის.

ეს მატჩი არ შედგება. თბილისის „ლოკომოტივს“ ჩაეთვალა გამარჯვება. იგი 6 აგვისტოს თავის მინდორზე მიიღებს მოსკოვის „ტორპედოს“.

ეროვნული ჯგუფი IV ზონა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონაში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

● ბურჯაანიდან...

ადგილობრივი „ალაზნის“ მეტოქე იყო ზონის ლიდერთა ჯგუფში მყოფი კისლოვოდსკის „სპარტაკი“.

ალაზნელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო მატჩი. გუნდი მოქმედებდა კოლექტიურად, დიდი მონდომებით და გამარჯვებისადმი სწრაფვით. სტუმრები დამარცხებულ იქნენ ანგარიშით 3:0.

● რუსთავიდან...

I წრის მატჩი რუსთავის „მეტალურგსა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის უნდა შემდგარიყო სოხუმში, მაგრამ მეტალურგის დღესთან დაკავშირებით იგი გადატანილ იქნა რუსთავში.

ანგარიში გაიხსნა დორეულისა და გემეზაშვილის მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ. ამ უკანასკნელმა თავით გაგზავნა ბურთი კარში — 1:0. არ გასულა ორიოდე წუთი და პაპიაშვილმა კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

სოხუმელებმა 35-ე წუთზე სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს და ზუბბაიამ გაქვითა ერთი გოლი. შესვენების შემდეგ სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ. მათი თავდამსხმელები ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული. „მეტალურგმა“ შეინარჩუნა გამარჯვება.

რ. გაბრიჭიძე.

● ფოთიდან...

ფოთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლხიდა“ და ტყიბულის „მეშახტე“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ა. ლომაია.

● ზუგდიდიდან...

აქ ითამაშეს ადგილობრივმა „ენგურმა“ და გორის „ლილამ“. მართალია, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს (ჯოჭუა), მაგრამ შემდეგ გორელებმა იმარჯვეს და გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 3:2.

ბ. ალშიბაია.

ფეხბურთი ფეხბურთი

ლაგოდეხელთა კარგი საქმენი

ლაგოდეხის „კოლმეურნის“ რაისაბჭო (თავმჯდომარე ა. ჩუთლაშვილი) ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ლაგოდეხელებმა წლევანდელ სპორტულ სეზონშიც ისახელეს თავი და სოფლად მნიშვნელოვანი ფიზკულტურული ღონისძიებები გაატარეს. ამჟამად აქაურ სპორტსმენთა მთავარი საზრუნავი რაიონული სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარება და რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა X სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლაა.

ამ მიზნით რაიონში წინასწარ ჩატარდა სათანადო მუშაობა. ლაგოდეხის პარტრაიკომის ბიუროზე დამტკიცდა რაიონული სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი რაიკომის მდივნის — თ. მაისურაძის თავმჯდომარეობით. ასპარეზობის დებულებას და 1966 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას ყველა ფიზკულტურული კოლექტივი გაეცნო. საორგანიზაციო კომიტეტის წინადადებით, ლაგოდეხის პარტრაიკომის ბიურომ და პლენუმმა მოისმინა და განიხილა მომავალ ასპარეზობასთან დაკავშირებული საკითხები.

რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობათაგან რამდენიმეში უკვე გაიმართა ასპარეზობა (ფრენბურთში, ჭადრაკში, ველოსპორტში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში და შაშში). შეჯიბრებებში უკვე 763 სპორტსმენი გამოვიდა, მათ შორის, 198 ქალიშვილი. რაიონში არ დარჩა თითქმის არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი, რომ სპარტაკიადა არ ჩატარებულიყო. ამ მაპობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სოფლის 1852-მა ახალგაზრდამ.

ყოველივე ამან სათანადო შედეგიც გამოიღო. რაიონმა 6 თვეში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თანრიგოსანთა მომზადების წლიური გეგმა. ასე მაგალითად, 5 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 15, 49 მეორეთანრიგოსნის მაგიერ — 81, ხოლო 139 მესამეთანრიგოსნის ნაცვლად — 212 და ა. შ.

ლაგოდეხელთა სერიოზული, ბეჯითი საქმიანობის შედეგია ისიც, რომ რაიონში თითქმის ყველა კოლმეურნეობას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, ხოლო ჭავჭავაძისა და „ლენინის ანდერძის“ სახელობის კოლმეურნეობებში უკვე დამთავრდა ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა.

ასპარეზობა გრძელდება. ამასთან, რაიონის სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისთვისაც. აქაურ ფიზკულტურელთა მუყაითობა იმის საწინდარია, რომ ისინი ამ ამოცანასაც წარმატებით გადაწყვეტენ.

იმედია, მათ რესპუბლიკის სხვა რაიონებში აუბამენ მხარს, სწორედ ეს აზრი გამოითქვა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, როცა ლაგოდეხელთა სასახელო საქმეებზე მსჯელობდნენ.

ჯ. ენდელაძე.

წარმატება სუმგაითში

აზერბაიჯანელი მეტალურგების ქალაქ სუმგაითში ამას წინათ მოეწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდური მეგობრული ტურნირი. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს მოჭადრაკეები, რომლებმაც სძლიეს მასპინძლებს (6:2) და სომხეთის გუნდს (6,5:1,5). მეორე ადგილი წილად ხვდა აზერბაიჯანის კოლექტივს.

საქართველოს ნაკრებ გუნდში გამოდიოდნენ: ს. ჩეჩელიანი, გ. ვარდოსანიძე, ე. კარკმაზოვი, ჯ. მუკნაშვილი, ვ. მეჩითოვი, თ. გრძელიშვილი და გოგონები — ც. კობაიძე, მ. სანაძე. აღსანიშნავია, რომ გუნდის პირველი შვიდი წევრი თბილისის სპეციალიზებული საჭურაკო სკოლის აღსაზრდილია.

ო. ალხანიშვილი,
გუნდის მწვრთნელი.

სპორტული ზეიმი მეტალურგთა ქალაქში

გასულ კვირას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელებმა ტრადიციული დღესასწაული — მეტალურგთა საკავშირო დღე იზეიმეს. ქარხნის სპორტულ მოედნებზე რამდენიმე საინტერესო ასპარეზობა ჩატარდა. მეტალურგები ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში ეცილებოდნენ პირველობას სტუმრებს — დინამოელ სპორტსმენებს.

კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვება დინამოელებს ხვდათ, ხოლო ფრენბურთსა და 4×100 მეტრზე ამანათრბენში — მასპინძლებს.

შემდეგ „მეტალურგის“ სტადიონზე შედგა ფეხბურთელთა მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს— ადგილობრივ „მეტალურგსა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის.

შესვენებისას მოხდა ქარხნის სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდების დაჯილდოვება. მატჩის დამთავრების შემდეგ კი სპორტულ დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. წარმატება ხვდათ: გ. ქავთარაძეს, თ. ავლოხაშვილს, ვ. კობაძეს, მ. მენთეშაშვილს და ა. აფციაურს.

ბ. რაჟდენაძე.

• • •

სურათებზე: სპორტულ ღონისძიებათა ამსახველი მომენტები.

ფოტო ავტორისა.

9 სახეობაში

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის 20 საამქრო მონაწილეობდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 9 სახეობა. გუნდები სიძლიერის მიხედვით დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფად. I ქვეჯგუფში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა საგლინავმა საამქრომ. იგი გამარჯვებული გამოვიდა კალათბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში. მეორე ადგილი დაისაკუთრა მილმგლინავების ნაკრებმა, რომელიც პირველი იყო ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და ჭადრაკში. III ადგილი წილად ხვდათ კოქსქიმიოსებს. მათ ყველას აჯობეს ცურვაში. ტყვიის სროლაში ჩემპიონის სახელი მოიპოვეს მეფოლადეებმა.

II ქვეჯგუფის გუნდებს შორის უძლიერესნი იყვნენ ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ცენტრალური ლაბორატორიის სპორტსმენები.

ს. არჩვაძე.
(ჩვენი კორ.).

VIII მსოფლიო ჩემპიონატი
ENGLAND 1966 — ფეხბურთი VIII ციკლი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადამწყვეტი მატჩების წინ

დღეს ინგლისის სტადიონებზე შედგება ბოლო ტურის გადამწყვეტი მატჩები ჯგუფებში. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ახლა მეოთხედფინალში გამსვლელ პრეტენდენტთა შორის?

IV ჯგუფში, სადაც გამოდის სსრ კავშირის ნაკრები, ერთი რამ ცხადია: როგორც არ უნდა დამთავრდეს დარჩენილი მატჩები, ჩვენს გუნდს გარანტირებული აქვს მეოთხედფინალში გასვლა. მეორე ადგილის მოპოვების შანსი აქვთ იტალიელ ფეხბურთელებს. საამისოდ მათ თუნდაც ფრედ უნდა დაამთავრონ დარჩენილი მატჩი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან. I ჯგუფში 3-3 ქულა აქვთ ინგლისსა და ურუგვაის. უველაფერი გაირკვევა ინგლისი—საფრანგეთისა და ურუგვაი—მექსიკის გუნდების შეხვედრაში. თუ აუტსაიდერებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება, ოთხივე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნება. ამ შემთხვევაში ყველაფერს გადაწყვეტს გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა და თუ ესეც თანაბარი იქნა — საჭირო გახდება კენჭისყრა.

II ჯგუფში ნათელია ბოლო ადგილის საკითხი. იგი ხელთ უპყრია შვეიცარიას, რომელმაც გაიტანა მხოლოდ ერთი ბურთი და მიიღო 7. გერმანელ და არგენტინელ ფეხბურთელთათვის საკმარისია ფრე, ხოლო ესპანელებს ხელს აძლევს მხოლოდდამხოლოდ გამარჯვება.

ყველაზე უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა III ჯგუფში. მას შემდეგ, რაც უნგრელებმა სენსაციურ გამარჯვებას მიაღწიეს მსოფლიო ჩემპიონებზე, მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. პორტუგალიელებმა ფაქტიურად გაინაღდეს მეოთხედფინალში გასვლა, მაგრამ ბრაზილიელებს და უნგრელებს მთელი თავიანთი ძალების მობილიზება დაჭირდებათ, რათა არ გამოეთიშონ ტურნირს.

ჩემპიონატის ცხრილი

მდგომარეობა 19 ივლისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ინგლისი	2	1	1	0	2:0	3
ურუგვაი	2	1	1	0	2:1	3
მექსიკა	2	0	1	1	1:3	1
საფრანგეთი	2	0	1	1	2:3	1

II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გფრ	2	1	1	0	5:0	3
არგენტინა	2	1	1	0	2:1	3
ესპანეთი	2	1	0	1	3:3	2
შვეიცარია	2	0	0	2	1:7	0

III ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პორტუგალია	2	2	0	0	6:1	4
უნგრეთი	2	1	0	1	4:4	2
ბრაზილია	2	1	0	1	3:3	2
ბულგარეთი	2	0	0	2	0:5	0

IV ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	2	0	0	4:0	4
იტალია	2	1	0	1	2:1	2
ჩილი	2	0	1	1	1:3	1
კსდრ	2	0	1	1	1:4	1

ინგლისელი კორესპონდენტები მსოფლიო ჩემპიონატზე

ჯ. ჯონსი: „საბჭოთა გუნდის მცველებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს და არ მისცეს თამაშის გაშლის საშუალება იტალიელ ფორვარდებს. კარგად ითამაშეს საბომ, ციორნინმა, მალოფეევმა, ბანიშევსკიმ და ჩისლენკომ“.

მ. ეკლსტონი: „პორტუგალიელთა გამარჯვება ბულგარეთის ნაკრებზე ცხადზე უცხადესი იყო, თუმცა მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი არ გამოუჩენიათ. ბულგარელებმა აშკარად სუსტად ითამაშეს“.

ს. სმითი: „არგენტინისა და გფრ-ის თამაშიდან ცუდი შთაბეჭდილება მივიღე. გერმანელები თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად გამოიყურებოდნენ. ორივე გუნდში დაცვა მუშაობდა მეტს, ვიდრე თავდასხმა“.

ბ. სონდერსი: „კარგა ხანია არ მინახავს ისეთი უხეშობა, როგორსაც ადგილი ჰქონდა არგენტინისა და გფრ-ის მატჩში. ორივე გუნდის ფეხბურთელები „ნადირობდნენ“ ერთმანეთზე. არგენტინელთა ნახევარმცველის ალბრეხტის გაძევებას მინდვრიდან, თითქმის პოლიციის ჩარევა დაჭირდა. თამაში ძალზე უინტერესო გამოდგა“.

„ინგლისისა და მექსიკის გუნდების მატჩის გმირი იყო ინგლისელი ბ. ჩარლტონი, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა თავისი გუნდის შეტევებს. გარდა ამისა, მან შესანიშნავი გოლი გაიტანა 36-ე წუთზე“.

ჯ. ბრინი: „ჩემპიონატის დაწყებამდე მიმომხილველთა დიდი უმრავლესობა წინასწარმეტყველებდა ათასგვარი სახის „ბეტონებს“, მაგრამ საბედნიეროდ, ჯერჯერობით ასე არაა. მატჩების უმეტესობა მაღალ დონეზე მიმდინარეობს, თავდამსხმელები კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს“.

(საკ. ინფ.).

ვილის „კომენტარები“

დაეწევა კი პელე ფონტენს?

ყველა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად ითვლება სახელგანთქმული ფრანგი ფორვარდი ფონტენი, რომელმაც კარგა ხანია თავისი ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. 1958 წელს შვეიცარიაში მან 13 ბურთი გაიტანა. ამჟამად ინგლისური პრესა ასეთ კითხვას სვამს: შეძლებს თუ არა ბრაზილიელი პელე, რომელიც უკვე ერთი ბურთის ავტორია (ბულგარელებთან მატჩში), გაუსწროს ფონტენს? გაზეთი „პიპლი“, მაგალითად, ამასთან დაკავშირებით იგონებს, რომ ჩილის მსოფლიო ჩემპიონატზე პელემ 6 ბურთი გაიტანა და ამ რიცხვს, ალბათ, ორჯერ გაზრდიდა, რომ მოულოდნელი ტრავმა არ მიეღო და თამაშებიდან არ გამოთიშულიყო.

ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“ ფეხბურთში მსოფლიო პირველობების საუკეთესო ბომბარდირთა სიას აქვეყნებს:

13 ბურთი — ფონტენი (საფრანგეთი, 1958 წ.).

11 ბურთი — კოშიჩი (უნგრეთი, 1954 წ.).

8 ბურთი — სტაბილე (არგენტინა 1930 წ.). და ადემირი (ბრაზილია, 1950 წ.).

7 ბურთი — ლეონიდასი (ბრაზილია, 1938 წ.).

6 ბურთი — შენგელერი (უნგრეთი, 1938 წ.), სკ�ფინო (ურუგვაი, 1950 წ.), პრომსტი (ავსტრია, 1954 წ), მორლოკი (გფრ, 1954 წ), რანი (გფრ, 1954 წ.) და პელე (ბრაზილია, 1958 წ.).

როგორც „ფოლკსშტიმე“ წერს, ყოფილა შემთხვევა, რომ ფეხბურთელს ერთ მატჩში 4 ბურთი გაუტანია (ბრაზილიელი ადემირი — ბრაზილია — შვეიცის მატჩში, 1950 წ., 7:1, უნგრელი კოშიჩი—უნგრეთ — გფრ-ის მატჩში, 1954 წ., 8:3, ფრანგი ფონტენი — საფრანგეთ — გფრ-ის მატჩში, 1958 წ., 6:3).

ბ. ჩარლტონი — ჯანტი

ინგლისელი ფორვარდები — გოლების ავტორები მატჩში მექსიკასთან.

დავსძენთ, რომ, როცა პელეს ჰკითხეს, შეძლებ თუ არა ლონდონში ფონტენის რეკორდი გააუმჯობესოთო, მან მოკლედ მიუგო: „ეს გამორიცხული არაა“.

„მარიაჩისი“ — მექსიკელთა იმედი

სამხრეთ ამერიკის გუნდებს აქვთ ორიგინალური საშუალება თავი დააღწიონ ნერვულ დაძაბულობას ჩემპიონატის დღეებში და განსაკუთრებით მატჩების დაწყების წინ. თავისუფალ დროს სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები... ცეკვავენ. ჩილიელები ამჯობინებენ „კუეკუს“, არგენტინელები — „ტანგოს“. რაც შეეხება მექსიკელებს, ისინი ლონდონელებს ასწავლიან თავიანთ „მარიაჩისს“. „მარიაჩისი“ ეროვნული საცეკვაო მელოდიაა, რომლის სახელს საგეთია, რომ „მარიაჩისს“ არ დავეყენებინეთ კარგ ხასიათზე.

მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა და ჟურნალისტმა თავიანთი თვალით ნახეს, როგორ ცეკვავდნენ მექსიკელი ფეხბურთელები „მარიაჩისს“ საფრანგეთთან თამაშის წინ და ამ შეხვედრის ფრედ დამთავრების შემდეგ.

რა ღირს ვილი?

ინგლისური პრესა წერს, რომ სუვენირები ჩემპიონატის უმბლვმის — ვილის გამოსახულებით დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებსა და თვით ინგლისელებს შორისაც. ვაჭრებმა უკვე გაყიდეს 6 მილიონი დოლარის საქონელი — სანთებელები, დანები, კამფეტები, ლუდი, საკურაო კოსტუმები და სხვ. უემბლის სტადიონთან ახლო მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში გაჩნდა ქალების ცვივრსახოცები, რომლებზეც მოხატულია არა მარტო ვილი, არამედ ბრაზილიის ნაკრების წევრთა ავტოგრაფებიც. როცა 2000 ასეთი ცვივრსახოცი გაიყიდა, გამოირკვა, რომ ბრაზილიელებს არავითარი ავტოგრაფი არ მიუციათ ვაჭრებისთვის. იტყობინებენ რა ამას, პრესა აღნიშნავს, რომ ვილი საქმოსნებს 10 მილიონ დოლარის მოგებას „პირდება“.

ფინ კიდევ ბრძოლაა

გასულ შაბათს თბილისში გაიმართა ფრეხბურთელ კაცთა საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა მატჩები. მორიგი გამარჯვება მოიპოვა ტურნირის ფავორიტმა —სსრ კავკასიის ნაკრებმა. მისი მეტოქე ბულგარელთა გუნდი იყო. ჩვენებს ხუთივე პარტიის თამაში მოუწიათ —3:2 (15:7, 5:15, 15:8, 10:15, 15:3). როგორც პარტიების ანგარიშიდან ჩანს, ბრძოლა არც თუ მწვავე იყო. ბოლო შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებმა იუგოსლავიელებთან გამართეს და „მშრალი“ ანგარიშით მოიგეს — 3:0 (15:9, 15:8, 15:9). კარგი თამაშით ისახელეს თავი ვ. კაჭარავამ, დ. ვოსკობოინიკოვმა და ვ. კრავჩენკომ.

ამრიგად, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მთელი ასპარეზობა დაუმარცხებლად განვლეს და I ადგილი დაიკავეს (4 ქულა). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ ამ ტურნირში სრულად ვერ გამოავლინეს თავისი შესაძლებლობები, ბადესთან მეტისმეტად დუნედ მოქმედებდნენ.

საქართველოს ნაკრები შეხვდა იუგოსლავიის ძლიერ გუნდს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის შემადგენლობაში არ იყო ს. ბუინოვი, ჩვენმა ფრენბურთელებმა ცუდად როდი ითამაშეს და წააგეს მინიმალური ანგარიშით — 2:3 (7:15, 15:8, 18:16, 11.15, 3:15). აღსანიშნავია, რომ საქართველოს სპორტსმენები მეოთხე პარტიაში დაჭინაურდნენ (7:1, 10:5), მაგრამ შემდეგ ძალა აღარ ეყოთ.

კვირას ბულგარელებმა დააშარცხეს ჰოლანდიელები (3:0) და 3 ქულით გავიდნენ II ადგილზე.

გუშინ გაიმართა I ტურში გამოტოვებული მატჩი ჰოლანდიისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა — 3:0 (15:7, 15:9, 15:4) და III ადგილი დაიკავეს (2 ქულით). საქართველოს ნაკრები IV ადგილზე გავიდა (1 ქულა). ჰოლანდიელები 0 ქულით V ადგილზე დარჩნენ.

განვლილი ასპარეზობა სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ჰოლანდიის გუნდებისთვის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ამ ტურნირმა მას ორმაგი სარგებლობა მოუტანა. პირველი ის, რომ მოსინჯა და შეამოწმა თავისი ძალები ევროპის საუკეთესო გუნდებთან ბრძოლაში. მეორე კი ის, რომ გუნდმა საუცხოო მოშზადება გაიარა სტუდენტთა V საკავშირო თამაშების წინ, რომელიც ივლისის ბოლო რიცხვებში გაიმართება მინსკში. მანამდე საქართველოს ფრენბურთელებს ოდესაში, შერჩევით ტურნირში მოუხდებათ ბრძოლა. ჩვენი სპორტსმენები მინსკის საგზურს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ ამ ასპარეზობაში I ან II ადგილს დაიკავებენ. ვუსურვოთ მათ წარმატება.

ფ. ლეონიძე.



ბათუმში დამთავრებულ წყალბურთელთა გუნდების შეჯიბრებაზე, რომელშიც ლენინგრადის, საქართველოს, უკრაინისა და მოსკოვის ოლქის „ტრუდის“ გუნდები გამოდიოდნენ, წარმატება ხვდა წილად ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივს, რომელიც უმთავრესად თბილისის „დინამოს“ წევრებისგან იყო დაკომპლექტებული.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტის ა. ჩანტლაძის ფოტოზე თქვენ ხედავთ საქართველოსა და უკრაინის გუნდების მატჩის ერთ-ერთ მომენტს.

პოლონელ ჟურნალისტთა თვალით

შეკითხვებზე პასუხობს ვარშავის „სპორტოვეცი“

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას კარგა ხანია შემოქმედებითი და მეგობრული კონტაქტი აქვს დამყარებული პოლონეთის ჟურნალ „სპორტოვეცთან“, რომელიც ვარშავაში გამოდის და ევროპაში ერთ-ერთ პოპულარულ ილუსტრირებულ ჟურნალად ითვლება. შარშან თბილისში სტუმრად იყვნენ „სპორტოვეცის“ თანამშრომლები — რედაქციის მდივანი ლ. ედლევსკი და ფოტორეპორტიორი ტ. პრაჟმოვსკი. ისინი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აშუქებდნენ კალათბურთელთა ევროპის პირველობის მსვლელობას, ხოლო ვარშავაში დაბრუნების შემდეგ თავიანთ ჟურნალში დაბეჭდეს საქართველოს სპორტული ცხოვრების ამსახველი მასალები.

წელს, ვარშავას საპასუხო ვიზიტით ეწვია „ლელოს“ სპორტული განყოფილების გამგე ნ. გუგუშვილი და ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ რედაქტორის მოადგილე ვ. სინიცინი. საბჭოთა ჟურნალისტები გაეცნენ „სპორტოვეცის“ შემოქმედებითი და ტექნიკური კოლექტივის მუშაობას, სტუმრად იყვნენ პოლონეთის ოლიმპიური მომზადების ცენტრში — ვარშავის ფიზაღზრდის აკადემიაში, დაათვალიერეს ტურისტული ბაზები, რომლითაც განთქმულია პოლონეთი, განსაკუთრებით კი ვარშავის შემოგარენი, გაეცნენ სხვადასხვა სპორტული ჟურნალისა და გაზეთის მუშაობას.

„ლელოს“ კორესპონდენტმა პოლონელ ჟურნალისტებს 3 შეკითხვით მიმართა: 1. იცნობთ თუ არა ქართულ სპორტს?, 2. ვინ მიგაჩნიათ ყველაზე გამოჩენილ ქართველ სპორტსმენად? და 3. რას უსურვებთ მათ? (ანკეტაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ჟურნალ „სპორტოვეცის“ თანამშრომლებმა). ვბეჭდავთ მათ პასუხებს:

სტეფან ჟეშოტი (მთავარი რედაქტორი): 1. ქართული სპორტი ჩემთვის, პირველ რიგში, თბილისის დინამოელთა ვიზიტია პოლონეთში. მე მათთან ერთად ვიმოგზაურე სხვადასხვა ქალაქში. ეს იყო დაუვიწყარი დღეები. მახსოვს კრაკოვში, „ვისლასთან“ მატჩის შემდეგ თქვენი ფეხბურთელები ქართული სადღეგრძელოს წარმოთქმას მასწავლიდნენ. გ. ანთაძე ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ ო. ქორქიას, როგორც საბჭოთა კალათბურთის უბრწყინვალეს წარმომადგენელს. 2. მ. მესხი. იგი თანამედროვე, საერთაშორისო კლასის ფეხბურთის ტიპიური წარმომადგენელია. განსაკუთრებით მომეწონა მესხი წელს, „მარაკანაზე“ (სწორედ მაშინ ვიყავი ბრაზილიაში). იგი არც ერთ ბრაზილიელ ვირსკლავს არ ჩამორჩებოდა ვირტუოზობასა და იმპროვიზაციაში. 3. პოლონელ და ქართველ სპორტსმენთა მეტ კავშირსა და მეგობრულ შეხვედრებს.

ხენრიკ დომბროვსკი (მთავარი რედაქტორის მოადგილე): 1. ქართული სპორტის დიდება ნინო დუმბაძის სახელთანაცაა დაკავშირებული. საქართველო საბჭოთა სპორტის მთავარი რეზერვია. 2. სამბისტი ა. კიკნაძე. 3. რომ ქართველი სპორტსმენები მუდამ მხიარულ გუნებაზე იყვნენ.

ეჟი იაბჟემსკი (პასუხისმგებელი მდივანი): 1. საქართველოს კარგი ფეხბურთელები, კალათბურთელები და მოფარიკავეები ჰყავს. 2. ფეხბურთელი ს. მეტრეველი და მოფარიკავე გ. კოსტავა. 3. მოწინავე პოზიციებს სპორტში.

ლუკაშ ედლევსკი (მდივანი): 1. თბილისში შარშან ვიყავი და ვიცი რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა. 2. ზ. საკანდელიძე და ა. მეტრეველი, წარსულში გამოჩენილი სპორტსმენებიდან კი — ნ. დუმბაძე და ა. ღოღობერიძე. 3. მინდა თქვენს ლამაზ დედაქალაქში ვიყო იმ დროს, როცა „დინამოს“ ფეხბურთელები ჩემპიონის ტიტულს ხელახლა მოიპოვებენ.

კშიშტოფ ბლაუტი (განყოფილების გამგე): 1. თუ არ ვცდები, ყველაზე პოპულარული სპორტი თქვენთან... „ლელოა“. 2. კ. წაქაძე, რადგან მეც მოთხილამურე ვარ. 3. დიდი სურვილი მაქვს მსოფლიო პირველობა თხილამურებში ჟურნალისტთა შორის კავკასიონზე ჩატარდეს.

სტეფან გუეგორჩიკი (განყოფილების გამგე): 1. უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით მივესალმები ქართველ ფეხბურთელებსა და მოჭიდავეებს. 2. მსოფლიოს ჩემპიონი ო. ფხაკაძე. 3. რომ უფრო მეტი გყავდეთ საერთაშორისო კლასის სპორტსმენი ქალები.

კაროლ ხიგი (განყოფილების გამგე): 1. მე ძალზე მომწონს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. 2. წარსულში — გ. ანთაძე, დღეს კი — ა. მეტრეველი. 3. ჩემი სურვილია, ხშირად მენახოს ქართველი სპორტსმენები პოლონეთში.

ანჟეი მარტინკინი (ლიტმუშაკი): 1. საქართველოს ჰყავს მსოფლიოში საუკეთესო მოჭიდავეები. 2. წარსულში — გ. კარტოზია. დღეს კი.— ა. კიკნაძე. 3. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს — ჩემპიონის ტიტულს.

ანჟეი ვეჟბა (ლიტმუშაკი): 1. დიდ პატივს ვცემ ქართველ მოფარიკავეებს, რომელთა შორის ზოგიერთს პირადადაც ვიცნობ. 2. გ. კოსტავა, 3. ჩემი სურვილია, კიდევ უფრო განმტკიცდეს ქართველი და პოლონელი სპორტსმენების მეგობრობა.

ზბიგნევ ვოიტოვიჩი (ლიტმუშაკი): 1. ჩემი „ხობია“ ჩოგბურთი და ვფიქრობ ამ სახეობაში თქვენ კარგად გაქვთ საქმე. 2. ა. მეტრეველი. 3. მოხარული ვიქნები, თუ ალექსანდრე უიმბლდონის ტურნირს მოიგებს.

ალიცია კუბიბილსკა (ლიტმუშაკი): 1. საქართველოში № 1 სპორტია ჭიდაობა. 2. ნონა გაფრინდაშვილი — მე ხომ ქალი ვარ! 3. კიდევ რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონს ქალთა შორის.

ტომაშ პრაჟმოვსკი (ფოტორეპორტიორი): 1. მე მიყვარს ქართული ფეხბურთი — ლამაზი, სწრაფი, ტემპერამენტიანი. 2. გ. საღარაძე, და ზ. საკანდელიძე. 3. I ადგილს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

ეუგენიუშ ვარმინსკი (ფოტორეპორტიორი): 1. მე ვიცნობ თქვენს შესანიშნავ ფეხბურთელებს და... კარგ ქართულ ღვინოს. 2. ა. ღოღობერიძე, ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი. 3. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პოლონელი და ქართველი სპორტსმენების მეგობრობას მყარი საფუძველი აქვს.

როგორც ჩვენი გაზეთის № 138-ში ვიუწყებოდით, ბათუმში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდა ათლეტთა შორის. ტურნირში წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონი მოზარდებში, სპორტის ოსტატი გ. ჭელიძე (თბილისი). იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეებზე და შეხვედრებს ბრძოლისთვის განკუთვნილ დროზე ადრე ამთავრებდა.

სურათზე: გ. ჭელიძე, რომელსაც კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს მეტოქე.

ფოტო ნ. ანდრიაძისა.

იალქნები ბათუმის ნავსადგურში.

ფოტო კ. ნაკაიძისა.

მოულოდნელი სიყვარული

მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც ამას წინათ მიუნჰენში ჩატარდა, დიდი დავა გამოიწვია მსოფლიოს 1969 წლის ჩემპიონატის ჩატარების საკითხმა. დელეგატთა საერთო გაკვირვების საგანი დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა პოზიცია იყო, რომლებიც- გააფთრებით იცავდნენ მიუნჰენის კანდიდატურას.

გასაკვირი აქ თითქოს არაფერია. მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა ყოველი ქვეყნის ფედერაციის ღირსების საკითხია, მაგრამ დელეგატებს კარგად ახსოვთ 1959 წლის გაკვეთილი, როდესაც მეორე გერმანული ქალაქი დორტმუნდი ჩემპიონატის მონაწილეთა მიღების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციის დაწოლისა და მუქარის შემდეგ დათმო მან პოზიცია (საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე 1 წლით ადრე დორტმუნდმა ბრძოლით მიიღო მასპინძლობის უფლება, შემდეგ კი უარი განაცხადა).

ამ უცაბედ შემობრუნებას უცხოეთში იმით ხსნიან, რომ მაგიდის ჩოგბურთმა უკანასკნელ ხანს დასავლეთ გერმანიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი და რაც მთავარია, ტურნირები სპორტის ამ სახეობაში უკვე სიფრძნობ მოგებას იძლევა. გფრ-ის წარმომადგენლებმა კი ზემოაღნიშნულ სხდომაზე ანგელოზთა ფრთები შეისხეს და ჩემპიონატისადმი ინტერესი გერმანიაში მაგიდის ჩოგბურთის დიდი ტრადიციებით აუსნეს. როგორც ჩანს, მათ მხედველობაში აქვთ მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ჩემპიონატი, რომელიც ბერლინში, 1930 წელს ჩატარდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის ოსტატ ვ. ფირცხალაიშვილს მისი შვილის

პატარა პაატას

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 19, 20 ივლისს 20 ს. გამოსვენება 21 ივლისს 18 ს. ათარბეგოვის ქუჩა № 24.

ორდენი — კედეს

რამდენი ფეხბურთელია დაჯილდოებული უცხოური ორდენით, ზუსტად არავინ იცის. მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების იმედმა პელემ მიიღო უცხოური ორდენი. ეს მოხდა სან-პაულოში: საფრანგეთის გენერალურმა კონსულმა ლ. ტ. დიულენმა გამოიძახა პელე თავის აპარტამენტებში და საზეიმო ვითარებაში გადასცა მას ორდენი „დამსახურებისათვის“. ასე გამოხატა საფრანგეთმა თავისი სიმპათიები „შავი მარგალიტისადმი“.

Ზღვის პირთან

სამწუხარო, მაგრამ სამართლიანი

ერთმანეთს ხვდებოდნენ ბელგიის ქალაქების ტონისა და ავერინის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. როცა მსაჯმა მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა, სტადიონი აბობოქრდა. გულშემატკივართა ღრიალმა იქაურობა შესძრა. ადგილობრივი ხელისუფალნი საგონებელში ჩავარდნენ. მაშინ მიკროფონთან მივიდა ქალაქის პროკურორი:

— ხალხნო, ეს მე მოგმართავთ, ქალაქის პროკურორი. კანონის სახელით და მთელი პირადი პასუხისმგებლობით ვადასტურებ, რომ ჩვენს კარში დანიშნული საჯარიმო დარტყმა, სამწუხაროდ, სამართლიანია.

ბრიტანული ფეხბურთის ნიუანსები

ფეხბურთი ძველთაგანვე გავრცელებული იყო ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში და რა თქმა უნდა, რუსეთშიც. მაგრამ ეს პოპულარული თამაშები თავის დღევანდელ სახეს ინგლისიდან იღებს.

ბრიტანეთის კუნძულებზე ყოველწლიურად გამოდის სპეციალური ბიულეტენი-ცნობარი, რომელშიც მოყვანილია საინტერესო ცნობები ინგლისური ფეხბურთის შესახებ.

თურმე ბრიტანეთის პირველი საფეხბურთო კლუბი „შეფილდია“, რომელიც 1855 წელს დაარსდა. შემდგომში იგი ორ დამოუკიდებელ კლუბად გადაკეთდა: „შეფილდ იუნაიტედი“ და „შეფილდ უენსდეი“. შეფილდი, როგორც ვიცით, ქალაქის სახელწოდებაა, ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რას ნიშნავს „შეფილდ იუნაიტედი“ (გაერთიანებული შეფილდი). რაც შეეხება „უენსდეის“, იგი ინგლისურად ოთხშაბათს ნიშნავს. ცნობარში არ არის განმარტებული, რა კავშირი აქვს ოთხშაბათს კლუბის სახელწოდებასთან. როგორც ჩანს, ამ კლუბის გუნდი ან ოთხშაბათს არის დაარსებული, ანდა ფეხბურთელები მხოლოდ და მხოლოდ, ოთხშაბათს თამაშობდნენ.

აი, კიდევ რამდენიმე საინტერესო ცნობა ბრიტანული ფეხბურთის ისტორიიდან. ინგლისის თასი 1871 წელს დაწესდა. ამ ჯილდოსათვის ბრძოლაში სარეკორდო შედეგად 26:0 ითვლება (1887 წ.). მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმო რეკორდის ავტორები არიან შოტლანდიელები — 36:0 (1885 წ.). იმავე წელს ინგლისურ ფეხბურთში შემოღებულ იქნა პროფესიონალიზმი. ოთხი წლის შემდეგ კი „პრესტონმა“ ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიგო თასიცა და ჩემპიონატიც.

ალბათ, მსაჯთა უმრავლესობამ არ იცის, რომ ჩვეულებრივმა სასტვენმა მოქალაქეობრივი უფლება პირველად 1878 წელს მოიპოვა. მანამდე მას სცვლიდა არბიტრის... ხმა. 1885 წელს კარის გვერდით ბოძებს დაემატა ზედა ძელი. მართალია, მისი სიმაღლე მაშინ არ იყო განსაზღვრული, ფეხბურთელთა უმრავლესობამ პროტესტი გამოუცხადა ამ სიახლეს. როგორც ჩანს, ისინი იმ ახლანდელი ფორვარდების წინამორბედნი იყვნენ, რომლებიც ხშირად ბურთს კარის ზემოთ აგზავნიან.

1891 წელს ოფიციალურად იქნა შემოღებული პენალტი და ... კარის ბადე. ამ გამოგონების პატენტი ხელთ იგდო სათვეზაო მოწყობილობათა ფაბრიკის მფლობელმა ბროდიმ. სხვათა შორის, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატსაც იგივე ფირმა ემსახურება.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ბრიტანული ფეხბურთის ისტორიიდან. დღემდე მსოფლიოში არც ერთ ფეხბურთელს არ უთამაშია ნაკრებში იმდენჯერ, რამდენიც სახელგანთქმულ ბილ რაიტს. ნაკრების ღირსება მან 105-ჯერ დაიცვა.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3.95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო—3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06017